საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორდის ნამოსახლარი

გორდის ნამოსახლარი, ქვედა პალეოლითის ხანის (ძვ. წ. 100 ათ. – 40 ათ. წწ.) სახელოსნო-ნამოსახლარი. აღმოჩენილია (ექსპედიციის ხელმძღვ. კ. კალანდაძე)

1982 სოფ. გორდში (ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი), დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ეზოში (იხ. დადიანების სამთავრო რეზიდენციები). ზედაპირულად აიკრიფა კაჟის იარაღი (საფხეკები, დანალამელები, ნუკლეუსი და წარმოების ნაშთები). იქვე, ზეგანზე, გამოდის კაჟის ე. წ. ძარღვები, რითაც ამ იარაღს ამზადებდნენ.

ლიტ.: К а л а н д а д з е К. С., Б е р д з е н и ш в и л и Н. З., Работы Цхалтубской археологической экспедиции, «Полевые археологические экспедиции в 1982 году», Тб., 1985.

კ. კალანდაძე